

საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში  
ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები და ფარგლები საქართველოს  
კონსტიტუციის მიხედვით

თამარ ქეცბაია

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო  
სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ქეცბაია

30.01.2021

## აბსტრაქტი

სამყაროში არსებული მოულოდნელობებისა და მუდმივად ცვალებადი გამოწვევების ფონზე, სახელმწიფოთა მთავრობებს საგანგებო მდგომარეობისას ძალაუფლება სჭირდებათ, რათა დაიცვან საკუთარი ხალხი და მათი ცხოვრების სტაბილურობა. საგანგებო მდგომარეობა აუცილებლად დროებითი ღონისძიებაა, კონსტიტუციური ჩვეული მდგომარეობის აღსადგენად, თუმცა, აღმასრულებელი ხელისუფლება, ხშირად ეცდება გაზრდილი ძალაუფლებით ტკბობას და შესაბამისად მის გახანგრძლივებას ან თუნდაც, ხელოვნურად გამოწვევას, თუკი არ იარსებებს სათანადო კონსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც მის თვითნებობას შებოჭავს. სწორედ ამიტომ, „საგანგებო მდგომარეობის ძალაუფლება“ დიდი ხანია, კონსტიტუციური მოწყობის ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდაა.“

არსებითი შეკითხვა მდგომარეობს იმაში თუ რამდენად არის შესაძლებელი საგანგებო უფლებამოსილების მართვა კონსტიტუციონალიზმისა და კანონის უზენაესობის ძირითადი პრინციპებით თუ საგანგებო სიტუაციები თავისთავად მოითხოვს იმგვარ რეაგირებას, რომელიც ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის საზღვრებს მიღმაა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის, შესაძლო გამოსავლის ძიებასა და საქართველოს რეალობაში სრულიად შეუსწავლელი რეჟიმის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოს დადგენის მცდელობას წარმოადგენს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საგანგებო მდგომარეობა, საგანგებო კონსტიტუცია, ნორმის შეჩერება, ადეკვატური ჩამნაცვლებელი, დეროგაცია, მინდობა.

## Abstract

State governments need emergency powers to protect people and their stability, in a world full of surprises and ever-changing challenges. A state of emergency is necessarily a temporary measure to ‘restore constitutional normalcy’, however, the executive branch often tries to enjoy increased power if there are no proper constitutional mechanisms in place to restrain its arbitrariness. This is why “Emergency powers have, for a long time, been the ultimate test of constitutional design”.

The crucial question is whether it is possible to oversight emergency powers with the principles of rule of law, or whether emergency situations themselves require a response that goes beyond the limits of constitutionalism.

This paper is an attempt to answer this question, to find a possible solution and to establish the constitutional-legal framework of a regime completely unexplored in the reality of Georgia.

**Key words: State of Emergency, Emergency Constitution, Suspension, Adequate Substitute, Derogation, Deference.**